საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის [illegible] № 251 პარასკევი, 7 ივნისი 1918 წ. № 251

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

F 263 N 567

ოსმალოებმა ოზურგეთი დასცალეს: სურსათ-სანოვაგე, [illegible] ოზურგეთში მოიპოვებოდა, ოსმალოებმა სულ [illegible] მთავრობამ მოიწონა დემობილიზაციის პროექტი: ჯარში დარჩებიან მხოლოდ 1895—1898 წლებში დაბადებულნი.—ყაზბეგის ბრძოლაში ბოლშევიკებმა ორი ვერსით დაიხიეს უკან.—საქართველოს სამხედრო გზა მხოლოდ ყაზბეგამდეა თავისუფალი: ტფილისისაკენ ბოლშევიკები არავითარ საქონელს არ უშვებენ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (გ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარათოვის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

ქართული კლუბი

ეროვნული კონცერტი

კვირას, 9 ივნისს 1918 წ.

ქართველთა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდი

კომპოზიტორ

ნ. პ. სულხანიშვილის

ლოტბარობით შეასრულებს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებთ. ქ ნ კალანდაძის, ოპერის მომღერალი ი. პ. სარაჯიშვილის და ვ. ლორთქიფანიძის მონაწილეობით.

განყოფილება 1.

1. ქ. ფოცხვერაშვილი—ლაშქრული, შეასრულებს გუნდი.
2. ზ. ფალიაშვილი—ალი ფაშა, შეასრ. გუნდი.
3. დ. არაყიშვილი—„ნეტავ ქება" ოპ. „შოთა რუსთაველიდან", სოლოს შეასრულ. ვ. ლორთქიფანიძე.
4. [illegible] ბალანჩივაძე—სამშობლო ხევსურისა, შეასრ. გუნდი.
5. [illegible] სულხანიშვილი—მესტვირული, სოლოს გუნდთან შეასრ. ვ. ლორთქიფანიძე.

განყოფილება 2.

1. ე. ჯაბადარი ა) სული ობოლი, ბ) სატრფოვ (რომანსები)
2. დ. არაყიშვილი—მოგილი, რომანსი შეასრ. ქ-ნი კალანდაძე
3. ზ. ფალიაშვილი—ნანა. შეასრ. გუნდი.
4. ა. ყარაშვილი—ა) მრავალ ჟამიერ ბ) მუხამბაზი შეასრ. გუნდი.
5. ნ. სულხანიშვილი—სამშობლო ხევსურისა, სოლოს გუნდთან შეასრ. ი. პ. სარაჯიშვილი.

განყოფილება 3.

1. ნ. სულხანიშვილი—გუთნური, სოლოს გუნდ. შეასრ. ი. პ. სარაჯიშვილი
2. დ. არაყიშვილი—რომანსები, შეასრ. ი. პ. სარაჯიშვილი.
3. მ. ბალანჩივაძე—რომანსები, შეასრულ. ი. პ. სარაჯიშვილი.
4. ნ. სულხანიშვილი—მაშ გამარჯვება, შეასრულებს გუნდი.

კათალიკოსის შესახვედრად გუნდი შეასრულებს „ტონ დესპოტინს" ამ შემთხვევისთვის დაწერილს ნ. პ. სულხანიშვილის მიერ.

აკომპანიმენტს როიალზე შეასრულებს ქ ნი მ. მესხიშვილი.

კონცერტის გამგე ილიკო აბაშიძე დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ღრმად დამწუხარებულნი: მღვდელი გაიოზ ბესარიონის ძე ძიმისტარაშვილი შვილებით: ანნა, თამარ, ალექსანდრე, მიხეილ და რძალი ელენე ამით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 5 ივნისს 1918 წ. მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ვასილი გაიოზის ძე ძიმისტარიშვილი.

— პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ შაბათს 9 საათზე 8 ივნისს, შინიდან. საკუთარი სახლი სტრელკოვის ქუჩა № 9 წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 595

ქვრივი კესარია ბიჭიას ასული გოცირიძისა შვილებით და სიძეებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სპარსეთში მოკლულ ოფიცრის

გრიგოლ (გრიშა) სიმონის ძის გოცირიძის

წლის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი ტფილისის ანჩისხატის ტაძარში, შაბათს, ივნისის 8 ს. პანაშვიდი დაიწყება შუადღის 12 საათზე. 597

დამწუხარებულნი მეუღლე იაკობ გიორგის ძე, შვილები ალექსანდრე ვასილ და ბარბარე; რძლები მარიამ და ელენე ეგნატაშვილები შვილებითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხვალ, ივნისის 8-ს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

მარიამ ზაალის ასულ ეგნატაშვილის

სულის მოსახსენებლად; ქ. გორში საპიროში წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 600

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

ხიდეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

დღეს, ივნისის 7-ს გაიმართება

საგასტროლო წარმოდგენა

პირველი გასტროლი ცნობილ ფრანგ მსახიობის ლაბორის მონაწილეობით აგრეთვე ესმერალდა, იამოდასანი, კობო, შტიკ, დერბი, ბონ-ბონ, ბოდი და სხვები.

ანონსი: ხვალ არის ბონ-ბონის და ბოდის ბენეფისი, ფრიად შინაარსიანი პროგრამით. მთავარი ადმინისტრატორი: პ. ელიზაროვი. 569

თბილისის ვაჟთა პირველი ქართული გიმნაზიის

დირექტორი ზაქარია კლიმიაშვილი ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ შემდეგს: 1) [illegible] გადაკეთებული [illegible] ტფილისის გიმნაზიაში 16 მარიამობისთვიდან 5 ენკენისთვემდე; ნაციონალიზაცია არის შემოღებული ყველა კლასში და ამნაირად სწავლება ყველა საგნებისა იწარმოებს ქართულ ენაზე; სხვა და სხვა ენების სწავლება იწყება შემდეგი კლასებიდან რუსული ენისა პირველი კლასიდან, გერმანული ენისა—მესამე კლასიდან და ლათინური და ფრანგული ენისა მეოთხე კლასიდან. დაწვრილებით ცნობებს იძლევა გიმნაზიის კანცელარია; 2) გიმნაზიაში თავისუფალია შემდეგი ადგილები: ინსპექტორისა—უნდა იყოს ფილოლოგი, რუსული ენისა—ორი ადგილი, ქართული ენისა—ორი ადგილი, გერმანული ენისა—ერთი ადგილი, ბუნების მეტყველებისა—ერთი ადგილი, კლასის დამრიგებლების თანაშემწისა ერთი ადგილი და საქმის მწარმოებლისა—ერთი ადგილი. ვისაც სურს რომელიმე აღნიშნულ ადგილთაგანი დაიჭიროს უნდა მიმართოს ხსენებულ გიმნაზიის საბჭოს შესაფერი თხოვნით და მასთანვე წარადგინოს საჭირო საბუთები. 694

ტფილისი. 7 ივნისი 1918 წ.

ზავის გარშემო.

ზავი შედეგია იმ რეალურ ძალთა განწყობილებისა, რომელიც მეომარ სახელმწიფოთა შორის არსებობს. თუ ერთს მხარეს სდგას ძლიერი სახელმწიფო, ხოლო მეორეს მხარეს სუსტი, შეუძლებელია მეორემ პირველს თავისი სურვილები მოახვიოს კისერზე და ისეთი ზავი შეჰკრას, რანაირიც მას ჰსურს. იყო დრო, როდესაც ქართველ ხალხს შეეძლო ძლიერი სამხედრო ძალა შეექმნა და ისეთი წინააღმდეგობა გაეწია მოპირდაპირისთვის, რომ ზავი უფრო ხელსაყრელი ხელშეკრულება შეეკრა. იყო ამისი დრო, მაგრამ დავკარგეთ. ზავი და საზავო პირობები ამისთანა პირობებში ჩვენთვის აუცილებლად მძიმე უნდა ყოფილიყო. ასე დაემართა რუსეთს, რომელმაც ბრძოლაზე ხელი აიღო, ასე დაემართა საქართველოსაც, რომელმაც დროზე ძლიერი სამხედრო ძალა ვერ შექმნა.

მიუხედავად მძიმე საზავო პირობებისა, ოსმალეთს მაინც აქვს თავის თავზე მიღებული ერთგვარი ვალდებულება. ასე, მაგალითად, იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს შინაურ საქმეებში არ ჩაერევა და უზრუნველჰყოფს საქართველოს სუვერენიტეტს. **ყოველნაირს ვალდებულებას ასრულება უნდა და ჩვენ ვფიქრობთ,** რომ ხელშეკრულებაც სწორედ იმიტომ იწერება, რომ იგი შესრულდეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოსმალეთის სახელმწიფოებრივ ინტერესს არ შეადგენს ხელ-შეკრულების დარღვევა. მაგრამ ისტორიამ იცის მაგალითები, როდესაც სუსტს ერებს ხელ-შეკრულობას თავზე გადააფხრიწავენ ხოლმე ძლიერნი ამაქვეყნისანი მაშინ, როდესაც ეს მათთვის სასარგებლოა. ჩვენ ძალიან მოწადინებულნი ვართ, რომ ამ შემთხვევაში ეს ასე არ მოჰხდეს, მაგრამ თუ მოჰხდა, თუ ოსმალეთმა თავისი ვალდებულობა არ შეასრულა, ქართველი ხალხი მზად უნდა იყოს სასტიკი, ულმობელი და საუკუნოებრივი ბრძოლისთვის. საქართველო და ქართველი ხალხი მწარე და უბედურ ზავს კიდევ შეუძლიან შეურიგდეს, მაგრამ ოსმალეთის მონად გადაქცევას ვერასოდეს ვერ შეურიგდება და მთამამავლობას უანდერძებს ბრძოლას მოძალადეებთან, თუ ასეთს ძალადობას ადგილი ექნება.

საქართველოს თავისუფლებას დაცვა უნდა. ზოგიერთნი იფიქრებს, თითქოს ზავი უტყუარი გარანტია არის მშვიდობიანობისა. ზავი ერთგვარი პირობაა, რომელსაც დაცვა უნდა. თუ ქართველი ხალხი უპროტესტოდ შეურიგდა ძალადობას, იგი სამუდამოდ მონად დარჩება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ისტორიულად ნაანდერძევი სიყვარული თავისუფლებისა მას მისცემს მხნეობას და სათანადო წინააღმდეგობას გაუწევს ყველას, ვინც მის დამონებას ცდილობს.

* * *

ქართული პრესა

ახლად ჩამოგდებულ ზავს ქართული გაზეთები ასე შეხვდნენ. „ერთობა" სწერს:

საუბედუროთ ოსმალეთთან შეკრული ზავი გაცილებით უფრო საზარელი გამოდგა, ვინემ ჩვენ ამას მოველოდით: ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას ჩამოაშორეს ჩვენი ძველი კულტურის აკვანი—ჯავახეთი და მესხეთი, დავკარგეთ ჩვენი ქვეყნის კარი ახალციხე, ყოველთვის აქედან მოდიოდა ჩვენს ქვეყანაში მტერი, ამ ადგილებში იღვრებოდა სისხლი ჩვენ მამა-პაპათა, რომელთაც კარგათ ესმოდათ მათი სტრატეგიული მნიშვნელობა. ახალქიხე-ახალქალაქის დაკარგვით ჩვენი ქვეყანა ემსგავსება უკარო სახლს, რომელშიაც ყველას თავისუფლად შეუძლია შესვლა.

მეტათ სამძიმოა ზავის პირობის მეორე მუხლიც; ოსმალეთს უფლება ეძლევა საერთაშორისო ომის დასრულებამდის თავისი ჯარები გაატაროს ჩვენის რკინის გზით, უფლება ეძლევა საჭიროების დროს ეს ჯარები ამა თუ იმ სადგურზე დაასვენოს. და გადასვლის დროს ოსმალეთის ჯარს შეუძლია საჭირო სურსათი და ფურაჟი ჩვენში შეიძინოს. ოსმალეთს უფლება არ აქვს შინაურს საქმეებში ჩაერიოს, მაგრამ თუ ჩვენმა ჯარმა საკუთარ ძალით ვერ შესძლო რკინის გზაზე წესიერების აღდგენა, მას ნება ეძლევა თითონ აღადგინოს წესრიგი. ასეთია ზავის მთავარი მუხლები.

ამავე დროს ჩვენი საზღვრები გაუსწორებელი რჩება აღერბეიჯანის მხრით, რასაც ეჭვი არ არის სათანადოთ გამოიყენებენ სომეხი და მუსულმანი ნაციონალისტები.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას მრავალი მტერი შემოესია: რუსის იმპერიალისტები, ამიერკავკასიის ველური ტომები, აღერბეიჯანის და სომხეთის ნაციონალისტები. თვითონ ოსმალეთიც არაა კიდევ სანდო და თუ გარემოებამ ხელი შეუწყო,ეცდება კვლავ რამე წაგვაგლიჯოს. დასასრულ გაზეთი ამბობს.

ასეთია ახალი ზავი.

აქედან მხოლოდ ერთი გამოსავალი გზა აქვს საქართველოს დემოკრატიას: მან უნდა მჭიდროდ შეკრას თავისი რაზმები და ანარქია ალაგმოს და ამავე დროს ხელი შეუწყოს მთავრობას ჯარის შედგენაში.

ჯარი და წესრიგის დაცვა—აი რა მოგვცემს ნამდვილ ზავს და გვიხსნის ჩვენ ოსმალეთის ბატონობისაგან. სხვა გზა არა გვაქვს.

გაზ. „საქართველო" ამბობს:

ქართველ ერს არ შეეძლო რაიმე ნაირი აზრი ჰქონდეს ოსმალეთთან დადებულ საზავო პირობების შესახებ. ის „უბედნილა საქართველოს [illegible] ეროვნული განვითარებისათვის. საქართველოს ახალი საზღვრები კუბოს ჰგავს და ამ კუბოში ცოცხლად უპირებენ ჩამწყვდევას ქართველ ერს.

ჩვენ არ ვიცით „როგორ დადგენილებას გამოიტანს ამ საზავო პირობების შესახებ საქართველოს ეროვნული საბჭო. ჩვენ არ ვიცით აგრეთვე როგორ შეხედავს ამ ზავს გერმანია, რომელთანაც მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის დასამყარებლად ჩვენ გადავდგით სათანადო ნაბიჯები.

რაც მოგვეცა, ეს ჩვენ სავსებით დავიმსახურეთ. ეს საჯილდოა იმ სამსახურისთვის, რომელსაც უწევდნენ ჩვენი ერის ხელმძღვანელი წრეები თავის ერს, თავის სამშობლოს. მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ. საქართველო ამ განსაცდელსაც გადიტანს. [illegible] ამ ეროვნულმა უბედურებამ უნდა დაგვაბადოს ქართველ ერში ეროვნული თავდაცვისა და არსებობისთვის ბრძოლის სალი ინსტინქტი, რომელიც [illegible] დაკარგულის აღდგენისათვის.

მთავრობაში

სახალხო განათლების სამინისტროში

ტფილისი, 5 ივნისი. საქართველოში სახალხო განათლების საქმის რეორგანიზაციისათვის გამართულ თათბირზე დაადგინეს: დაარსდეს სახალხო განათლების სამინისტროსთან საბჭო სამის კოლეგიისაგან შემდგარი: ერთ მათგანს მიენდობა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობა, მეორეს უმაღლესი და დაბალი პირველ დაწყებითი სასწავლებლები, ხოლო მესამეს ტექნიკური და სამრეწველო სასწავლებლები ექნება ჩაბარებული. საბჭოში [illegible] სასწავლებლების თითოეულ ფაკულტეტიდან. განზრახულია სამინისტროს [illegible] რეორგანიზაცია: საქმეების ქართულ ენაზე წარმოება.

ივნისის 5-ის სხდომაზე მოიწონეს [illegible]

გარდა 1896—98 წლებში გაწვეულებისა ამ ვადის ჯარისკაცები გაწვეულ უნდა იქმნენ ქართულ ჯარში.

ბათომის სარემონტო ქარხნის მუშების დასაკმაყოფილებლად ფინანსთა მინისტრს დაევალა ფოთში 400000 მან. გაგზავნოს და კანონპროექტი ამის შესახებ ეროვნულ საბჭოში შეიტანოს.

საქართველოს რესპუბლიკის საქმეთა მმართველად დამტკიცებულ იქნა ნაფ. ვექილი ს. დ. ჯაფარიძე, მის თანაშემწედ—მ. მ. მღვდლიშვილი.

შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებს 2 თვის ჯამაგირი მიეცემათ.

ფინანსთა მინისტრს დაევალა სესხად 1 მილიონი მანეთი მისცეს სასურსათო სამინისტროს ჩრდილო კავკასიაში პურის შესაძენად, ხოლო ამის შესახებ კანონპროექტი ეროვნულ საბჭოში შეიტანოს.

არზრუმის რკინის გზის მუშების დასაკმაყოფილებლად გადაიდო 2 მილიონ მან.

ბრძოლა ბოლშევიკებთან

გუშინ ტფილისის ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს ერთი წევრი სად. ყაზბეგზე ბოლშევიკების შესაჩერებლად გაგზავნილ შტაბს-კაპიტან ფიცხელაურს დაელაპარაკა პირდაპირის მავთულით: ივნისის 1 ს სად. ყაზბეგთან მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიაც ჩვენი რაზმების გარდა მონაწილეობა მიიღეს სოფლებმა: გერგეთის, გორისციხის, ფაშუთის, სურთის, კობის და სხვ. მცხოვრებლებმა. ბოლშევიკებს თანაუგრძნობდნენ, თუმცა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ ს. ს. ყაზბეგის, ენოს, არგუჯის, ახალციხის, სტეფანწმინდის და სადგურის მცხოვრებლები. ბოლშევიკების მხარეზე იყვნენ ინგუშები რომლებიც ამბობდნენ, რომ ბოლშევიკები მაშვრალი ხალხია და ტფილისში შესვლა სურთო. ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ გლეხებს მეთაურობდნენ მოხუცნი: ფიცხელაური, თოფურიაშვილი, მეხვაშვილი, მღვდელი ბუდუშაური და სხვები. ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა, ბოლშევიკები საბოლოოდ დავამარცხეთ და 2 ვერსით დაიხიეს უკან. ბრძოლის ველზე მათ დასტოვეს 300 მდე მოკლული, ხოლო 25 ტყვედ წამოვიყვანეთ. ბოლშევიკების რაზმები უწესრიგო ბრბოებს წარმოადგენენ, მათ შორის ყველა ეროვნებათა წარმომადგენლები არიან, რომელნიც ამბობდნენ, „ტფილისში მივდივართ ბურჟუების შესავიწროებლადაო“: ეხლა ბოლშევიკებს თერგის ოლქიდან დახმარე ძალები მოსდით. ამავე დროს მოლაპარაკება დაიწყეს ხავზე. საქართველოს სამხედრო გზა სად. ყაზბეგამდე თავისუფალია, იქით არავის უშვებენ. ბოლშევიკები არავითარ საქონელს ტფილისისკენ არ უშვებენ.

სომხეთი და ადერბეიჯანი

გაზეთი „მშაკი“ (№ 104) წინააღმდეგია სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ის მოითხოვს, რომ სომხეთი შეუერთდეს ადერბეიჯანს. გაზეთი სწერს:

„ჩვენ გვგონია, რომ სომხის ერისათვის დღეს უფრო ხელსაყრელი იქნება თუ ჩვენ მოლაპარაკებას გავმართავთ ჩვენ მეზობელ თურქებთან, შევუთანხმდებით და შევუერთდებით მათ და მათთან ერთად შევადგენთ ადერბეიჯანის ერთს საერთო ავტონომიას, რომელშიაც შევა ბაქოსა, განჯისა და ერევნის გუბერნიები მთლიანად და ტფილის გუბ. ყაზახის მაზრა. გარდა ყველა იმ ადგილებისა, რომელიც ოსმალოების მიერ აღებულია.

ჩვენ, სომხებსა და თურქებს საერთო ძალით შეგვეძლია მომავალში მოსალოდნელ სიფრთხეს გავუმკლავდეთ. მთავრობა, ჯარი, ფინანსიური და საბაჟო სისტემა საერთო გვექნება, ეროვნულ-კულტურულ სფეროში კი თითოეული ჩვენგანი ავტონომიურად მოეწყობა.

ეს აზრი, უეჭველია, ბევრს უტრიალებს თავში და ჩვენ მას გამოვიხმაურებთ და ვთხოვთ ავტორიტეტულ პირებს გამოსთქვან თავისი აზრი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შევძლებთ თურქებთან თანხმობით ცხოვრებისათვის საღი პირობების შექმნას და კეთილ-მეზობლურ ურთიერთობის დამყარებას. თუ მომავალი დაგვანახვებს, რომ ჩვენ ერთად ცხოვრება და მართვა-გამგეობა არ შეგვიძლია, მაშინაც შეიძლება გავიყოთ, როგორც შვეცია და ნორვეგია“.

ამავე საკითხს, სომხეთის მომავალი ბედის შესახებ ეხება იგივე „მშაკი“ გუშინდელ ნომერში (№ 105) და შემდეგსა სწერს:

„ჩვენი მომავალი ჩვენ ამგვარად გვეხატება:

ჩვენ ან უერთდებით ადერბეიჯანს და ჩვენს მეზობელ თურქებთან ერთად კონფედერაციას ვქმნით, ან დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვაწყობთ იმ ვიწრო ფარგლებში, რომელსაც გვიტოვებენ, ან კიდევ ისევ რუსეთს ვუერთდებით, თუ რუსები ხელ-ახლა დაიპყრობენ ამიერკავკასიას, რაიცა ძნელად თუ განხორციელდება ახლო მომავალში“.

საქართველოს დამოუკიდებლობის გარშემო

(დეპეშები).

ფოთი. ივნისის 4. საბჭომ მოისმინა ქალაქ ს საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ და შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

„ქალაქის საბჭო მიესალმება მთავრობის ყველა ნაბიჯს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ და მზად არის ყოველი დახმარება აღმოუჩინოს ნორჩ რესპუბლიკას და ხელი შეუწყოს მის აყვავებას“.

ომის დეპეშები

ტფილისი, ივნისის 6. „ანდონხანი“.

ბერლინი. ივნისის 5. საომარი ცნობა.

დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში ბრწყინვალედ მივიტანეთ იერიშები: მრავალი დავატყვევეთ მთელ ფრონტზე მზვერავთა შორის ბრძოლაა. საარტილერიო ბრძოლა მხოლოდ დროგამოშვებით ძლიერდება.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი ჩვენ გავაძლიერეთ მოქმედება და გავიმარჯვეთ ესნეს სამხრეთ სანაპიროზე. მტერი გავრეკეთ ამბლენი-კუტრისაკენ და მისი პოზიციები დავიპყარით, დომმიერის ჩრდილოეთით რომ არის. ადგილობრივი ბრძოლა სწარმოებდა ურკის ორსავე ნაპირას საერთოდ მდგომარეობა არ შეცვლილა. ლეიტენანტ ლევენჰარდტმა მე-26 ჯერ გაიმარჯვა საჰაერო ბრძოლაში.

ვენა, ივნისის 5. ოფიციალურად. მოსული დღე ღამის განმავლობაში არავითარ თვალსაჩინო ოპერაციას არ ჰქონია ადგილი გარდა საარტილერიო მოქმედებისა.

სტამბოლი. ივნისის 5. საომარი ცნობა.

პალესტინის ფრონტი ფრონტის სხვა და სხვა ადგილას ჩვენ პატრულები ბრწყინვალედ მოქმედებენ, დანარჩენ ფრონტებზე ახალი არაფერი მომხდარა.

პარიზი ივნისის 5. საომარი ცნობა. დღე ღამის განმავლობაში გერმანელებმა გაორკეცებული ენერგიით განაგრძეს თავისი მოქმედება ფრონტის სხვა და სხვა ნაწილას. ისინი ყველგან გავრეკეთ და დიდი ზიანიც მივაყენეთ გერმანელები სცდილობდნენ მდ. უაზის გადასვლას მონტ ალაგამის მახლობლად, მაგრამ სრულებით უნაყოფოდ. ფრანგების ეს ეს ჩრდილოეთით კონტრ-იერიშები მიიტანეს და ამან მისცა მათ შეძლება უკან დაებრუნებიათ ის ადგილები, რომლებიც დროებით გერმანელებს ჰქონდათ დაპყრობილი. ვინგრეს მახლობლად ფრანგებმა 150-ზე მეტი გერმანელი დაატყვევეს და ხელთ იგდეს ტყვიის მფრქვეველები. ლონგპონტის რაიონში გერმანელებმა თავში გაიმარჯვეს, ხოლო შემდეგ შავინის მაღლობის ტყესთან ისინი გარეკეს: ფრანგებს დაუტოვეს 50 ტყვე. ფრონტის დანარჩენ ადგილებში ფრანგები გამაგრებული არიან თავის პოზიციებზე.

საჰაერო ბრძოლა. ფრანგების მფრინავებმა დიდი აქტივობა გამოიჩინეს. ივნისის 4 დღის ექსპედიციის დროს სავიერის ჰალაში აპარატებიდან 17 ტონი ასაფეთქებელი ნივთეულობა ჩამოაგდეს მტრის ჯარის ბანაკში ჯარი გაიფანტა. ივნისის 4-ს ღამით ფრანგებმა 14 ტონი ასაფეთქებელი ნივთეულობა ჩამოაგდეს ფისმის, ფერიან-ტარდენუას, რუასისა და რონენის სადგურებზე. ჩვენ ჩამოვაგდეთ გერმანელების 4 ჰაეროპლანი, 2 საჰაერო ბალონს ცეცხლი გაუჩინეთ. ამის გარდა გერმანელების დიდი ზომის, ხუთმოტორიანი აპარატი იძულებულ ჰყვეს ძირს დაშვებულიყო ნანტეილ-ლეხოდუენის რაიონში. მისი შემადგენლობა (8 კაცი) ჩვენ დავატყვევეთ.

ესნესა და მარნთან შუა გერმანელებმა ბრძოლის დროს დაიპყრეს 3000 ოთხკუთხი კილომეტრი მტრის ტერიტორიისა, რომელიც მეტად ნოყიერ ადგილს წარმოადგენს: ამათში არის ბოსტნები, ვენახი და სხვ.. გერმანელების ხელში გადავიდა 200 დასახლებული დაბა, მათ შორის 15 ქალაქია, მცხოვრებთა რიცხვი კი 1000 კაცზე მეტია. მცხოვრებლები თავის ადგილებზე დარჩნენ გარდა 7500 კაცისა, რომელნიც მარნას იქით გაიქცნენ. ლტოლვილები საფრანგეთის მთავრობას მძიმე ტვირთად აწევს, რადგან მან უნდა იზრუნოს და ლტოლვილები შეიფაროს.

მოკლულნი და დაჭრილნი

სამშობლოს თავისუფლებისათვის.

მოკლულნი და დაჭრილნი 22 მაისის ბრძოლაში ა—ის ფრონტზე. რადგან სია მოკლულ-დაჭრილებისა პირველ ივნისის №-ში ჩვენ შეცდომებით გვქონდა დაბეჭდილი, ამიტომ დღეს განმეორებით მოგვყავს.—მოკლულნი არიან: პორუჩიკი ალექსი მელუა, პოდპორუჩიკი მაკარი შელეგია, პარტიზანები ბათომის პოლკისა: იოსებ ნიაური, პავლე ლომსაძე და სამსონ ცხადაძე; დაჭრილნი არიან: პრაპ. დიმ. გულისაშვილი, რომელიც სუბუქ ჭრილობის გამო ბრძოლის ველზევე დარჩა, პრაპ. გიორგი კობახიძე, პრაპ. ნიკოლოზ გაფრინდაშვილი, პარტიზანები: კანდელაკიშვილი, გაფრინდაშვილი, კანდელაკი, ვეჩიძე ლეონიდე (სუბუქად თავში), ლეჟავა დომენტი, ზაქარიძე ვასილი (ხელში), მინდიაშვილი დავით, საჯანახელი ლავრენტი, არისტო ქუმბაძე (მარჯვენა ყბაში), ოქროპირიძე ივანე, კერკენჯია ნიკიფორე (უკვე კარგად არის და ფრონტზე გაბრუნდა) და ტყეშელაშვილი ვარლამ (ფეხი აქვს ნაღრძობი) პარტიზანი გაბუკაური, რომელიც მოკლული ეგონით, უვნებლად დაბრუნდა.

26 მაისის ბრძოლაში ფეხში დაიჭრა მეორე ცხენოსან პოლკის მოხალისე კოტე ქოჩაკიძე.

მუსსავათი და დაშნაკცუთიუნი

ჩვენ მოველოდით, რომ ფაქტი საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადებისა, ჩვენი ქვეყნის თავისუფლება არ გამოიწვევდა ამიერკავკასიაში მცხოვრებ ერთა უთანხმოებას და, თუმცა უფერულსა, მაგრამ მაინც ჩუმ პროტესტს, არ მოველოდით, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ ყველა არსებული პოლიტიკური პარტიები და ფრაქციები გრძნობდნენ მის მოახლოვებას, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობას. ამიერკავკასიის საერთაშორისო დემოკრატიამ კარგად იცის მიზეზები ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ჩვენ ყოველთვის მომხრენი ვიყავით თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირისა, — ფედერალიზმის პრინციპის განხორციელებას და განმტკიცებას ვემსახურებოდით. თითქმის ამ ნიადაგზე იდგნენ ყველა არსებული პოლიტიკური პარტიებიც საქართველოში ამ უკანასკნელ ხანებში. საქართველოს დემოკრატიამ მთელი თავისი ენერგია ამ ერთა შეთანხმებას, ერთა სოლიდარობას მოანდომა. და თუ დაირღვა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, დაიმსხვრა და გაქრა სოლიდარული, შეთანხმებული მოქმედება,—ამაში უმთავრესად დამნაშავენი არიან ის თათრები და სომხები, რომელთაც ნებსით თუ უნებლიეთ, მთელი თავისი ძალ-ღონე ერთმანეთის დარბევასა და აოხრებას მოანდომეს და შემდეგ კი ამიერკავკასიის სეიმში გადმოიტანეს ეს ბრძოლა და კინკლაობა. არსებითად ამ უთანხმოებაში და მტრულ განწყობილებაში სომხისა და თათრის ხალხი არაფერ შუაშია, რადგან ხალხი თვით არასოდეს არ დაიწყებს ერთმანეთის რბევასა და აწიოკებას. მშრომელი ხალხი, როგორც ეგრეთი, ყოველთვის მოყვარულია მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრებისა,—მისთვის სოლიდარობისა და მეზობელთან კარგ განწყობილების ჩამოგდება სასარგებლო და სახეიროა და ისიც ყოველთვის ასე იქცევა, თუ ხალხის ბელადნი, ხალხის მეთაურნი თვით არ ჩაუგდებენ გულში ზიზღსა და სიძულვილს მეორე ხალხისადმი.

ასე იქცეოდნენ დაშნაკელები და მუსსავათელები და სწორედ ამგვარი ნაყოფი გამოიღო მათ მოღვაწეობამ და მოქმედებამ.

ისიც უნდა ითქვას, რომ მუსსავათის ზოგიერთი წარმომადგენელნი ორპირულ და საზიზღარ პოლიტიკას აწარმოებდნენ საგარეო პოლიტიკაში: სეიმში მხურვალე სიტყვებით გვიმასპინძლდებოდნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობაზე და ერთა სოლიდარობაზე ლაპარაკობდნენ და ამავე დროს ბათომში ოსმალოებს ემუდარებოდნენ: მოდით და მოგვიარეთო.

აი სწორედ ამგვარ ორპირულ და ორმაგ-[illegible] სამარ[illegible] ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას [illegible] კიდევ ამასთან დასძენთ ოსმალთა მიერ თითქმის მთელი სომხეთის დაპყრობას და განჯის გუბერნიაში მათ თავისუფალ თარეშს, მაშინ თქვენთვის ნათელი იქმნება—მთელი სურათი, ის ობიექტიური პირობები, რომელმაც მიგვიყვანეს საქართველოს დამოუკიდებლობის, საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადებამდე.

ტფილისის და ქუთაისის გუბერნიები და სოხუმის ოლქი დარჩა და არსებითად ამიერკავკასიის მთავრობის დადგენილებას მხოლოდ ამ გუბერნიების მცხოვრებნი ემორჩილებოდნენ და ასრულებდნენ, დანარჩენი მხარეები კი—ერთმანეთის ბრძოლაში ატარებდნენ დროს.

ცხადია, რომ ქართველი ხალხი თავის არსებობას სხვას ვერ ანაცვალებდა, თვის კეთილდღეობას სხვის უბედობაზე ვერ გასცვლიდა, რადგან ეს იქნებოდა თვითმკვლელობა, ერის მოსპობა და განადგურება.

და ქართველ ერმაც სხვა გზა აირჩია; გზა თავისუფლებისა და ჭეშმარიტებისა, გზა, რომელიც მისცემს მას საშუალებას თავისი საქმე თვითვე გააკეთოს,—თავისი ბედი—თვითონვე გამოსჭედოს.

ეს გზა იყო—ერთად ერთი ჭეშმარიტი და ნამდვილი გზა. და ერმაც იგი აირჩია,—ეს ისტორიული და ობიექტიური პირობების აუცილებლობის შედეგი გახლავთ და მისი თავიდან აცდენა ჩვენ არ შეგვეძლო.

მაგრამ მიუხედავად ამისა,—მიუხედავად ყველა ზევით ჩამოთვლილ ფაქტებისა როგორც დაშნაკელები, ისე მუსსავათელები—ორივენი რაღაც გამოურკვეველ უთანხმოებას აცხადებენ ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკის გამოცხადების გამო.

როგორც მუსსავათის წარმომადგენელნი, ისე დაშნაკელები თავის [illegible]ნის დამოუკიდებლობის გამოცხ[illegible]ის აქტში აღნიშნავენ შემდეგს: „რადგან საქართველომ გამოაცხადა თავისი ქვეყანა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, ჩვენც იძულებული ვართ გამოვაცხადოთ ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკა“ და სხვა.

დაშნაკელების პარტია და მათი საბჭო კი იქამდისაც მივიდა, რომ თავის რეზოლუციაში აცხადებს, „რადგან საქართველოს რესპუბლიკად გამოცხადება ფაქტია, მეტი გზა არა გვაქვს უნდა მივულოცოთო“ და სხვა.

ეს ამონაწერები ძალიან დამახასიათებელია როგორც დაშნაკელების, ისე მუსსავათელების მოღვაწეობისა.

თუ ასე სურდათ მათ სოლიდარული და მეგობრული განწყობილების გაძლიერება ამიერკავკასიაში მცხოვრებ ერთა შორის, ამ სოლიდარობისა და მეგობრობის განმტკიცებას რად გაურბოდნენ წარსულში?

ამიერკავკასია და საქართველო.

1795 წ. ბუასი დ'ანგლამ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ სთქვა: „ჩვენ ვიცოცხლეთ ექვსი საუკუნე ექვსი წლის განმავლობაში“-ო. ჩვენ კი, ფრანგის მსგავსად, რუსეთის რევოლუციის შესახებ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ ვიცოცხლეთ ერთი საუკუნე ამ ერთი წლის განმავლობაში. და საბუთიანიც იქნება ამგვარი თქმა, ძველი წყობილება ხომ ვერ გადიქმნებოდა ნელი და მშვიდობიანი გზით 100 წლის განმავლობაში, აჩქარებულად და ძალით კი ერთმა წელიწადმა დაიტია მთელი რიგი დამნგრევ და შემომქმედ აქტებისა. რთული იყო ძველი მეფეების სისტემა, ძნელი იყო მისი ძალმომრეობითი ლიკვიდაცია. და ეს გართულებული მდგომარეობა გაართულა უფრო დიდმა ომმა, რომლის ავ-კარგიან პროცესში რუსეთიც იყო ჩარეული მეტად ღრმად. რევოლუცია შიგნით რომ ჰქმნიდა ახალ ორგანიზაციას, იმავე დროს საზღვრებსაც უნდა დასდგომოდა დარაჯად, აფთარ მტრის მოსაგერიებლად. და კინემატოგრაფის ლენტივით იცვლებოდა რუსეთის პოლიტიკური სახიერება. ომი, ხიფათიანობით და მსწრაფლ ცვალებადი პერიპეტიებით აღსავსე ამაოდ ფლანგავდა შინა—ორგანიზაციის შემოქმედ ძალას. მაგრამ გარე ომი უკმარი გამოდგა. მას დაერთო შინაგანი ომი, „სამოქალაქო ომად“ წოდებული. და ამ პირობებში ნაფეთქ რევოლუციას დაჰყვა ხასიათი აჩქარებული, ძალმომრეობითი, სუსტი და მხტომიარე. პოლიტიკურ ხელმძღვანელთა გონება ორად გაიყო, და თუ ერთი მხრივ აწარმოებდნენ კანონმდებლობითი რაციონალურ მუშაობას, მომავლისთვის მეორე მხრივ ემპირიულ გზისკენ ეპყრათ თვალი და სჭრიდნენ ომის საკითხებს. და მოხდა მოქმედებათა არევა დაირღვა მეთოდი, დაიშალა გეგმა, დაიკარგა ლოღიკური თანდათანობა. ამ მხრივ რუსეთის რევოლუციამ განვლო რამდენიმე ეტაპი, და ეს პროცესი კი რუსეთის დაშლით დამთავრდა. არ ვიცით რა მოხდება ამის იქით დღეს კი რუსეთი, როგორც მთლიანი სახელმწიფო აღარ არსებობს. დათვითეფულდნენ ყოველი მისი შემადგენელი ნაწილები, და მის ან დამოუკიდებლად ღებულობენ ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას.

რუსეთის შემადგენელ ერთა შორის ამიერკავკასიის ერებმა ყველაზე მეტი ლოიალობა გამოიჩინეს და ყველაზე გვიან დაადგნენ აქტივობის გზას. დამოუკიდებლობის სარბიელზე მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდნენ, რაც რუსეთში მოხდა მთავრობის კრიზისი და ფაქტიურად რუსეთს საშუალება მოესპო გაეძღოლა ყველას, მის კალთებ ქვეშ შეფარებულთ.

და ფაქტი უკვე მოხდა. ჩვენ რუსეთს მოვსწყდით. და მოვსწყდით მაშინ, როდესაც ისტორიულ კატასტროფის პირას იყო მისული არა მხოლოდ რუსის ერი, არამედ ჩვენი ქვეყანაც. უნდა ითქვას, რომ მომავლის ბურუსიანობით გამოწვეული განგაში იპყრობა ჩვენი საზოგადოებრიობის ყოველ წრეში. ისტორიის სწრაფი მიმდინარეობა შიშს ჰგვრით ყველას, რადგან ის გამოუცნობი და რთული მომავალი რომლისკენაც მიიმართება ჩვენი ცხოვრება, არ ვიცით როგორ გადასჭრის ჩვენი ყოფნის საკითხს დაშლა და სიკვდილი, თუ შედუღება და აღდგომა? და აი ამ საბედისწერო ამოცანის წინაშე მდგარნი, ძალას ვატანთ ჩვენ აზრს, რომ აღმოვაჩინოთ ან შევქმნათ ის გეგმა, რომელიც ჩვენ ხსნას მოგვიტანს ჩვენ ეხლა იმ პროცესში ვიმყოფებით: როდესაც ადამიანი და საზოგადოება მხოლოდ გადარჩენაზე ფიქრობს, როდესაც მძლედ მეტყველებს თავდახწევის სურვილი. და ჩვენც თითქო გვსურს შევაჩეროთ ისტორიის სწრაფი მდინარება, მივაქციოთ მისი ბედითი გზა.

მაგრამ ეს სურვილი მთლიანი რამ ფსიქოლოგიური მოვლენა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე უფრო ჩვენი სურვილები იყო. ჩვენი, ვიდრე გეოგრაფიულ ფაქტორმა ერთად შეგვყარა და ისტორიული აქტი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა ერთად გამოგვაცხადებინა. მიუხედავად ამ ერთიან გამოცხადებისა, მაინც სურვილთა სხვადასხვაობა გამომჟღავნდა, და ამიერკავკასიაში მოსახლე ერები სამ პოლიტიკურ ენაზე ალაპარაკდნენ. ზოგისთვის ეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა მინიმუმი იყო, რადგან მაქსიმუმი „ბრწყინვალე პორტის“ დროშას გულისხმობდა. ზოგისთვის ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან სხვა გზა აღარ არსებობდა, მათი წადილი კი ისევ რუსეთისკენ მიექანებოდა, ზოგი კი ევროპასთან კავშირზე ოცნებობდა. საერთოდ კი ეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, მისი სახელმწიფოებრიობა უნდა ითქვას, რომ მოკლებული იყო მტკიცე ნიადაგს. სწორედ ამ სიმტკიცე მოკლებულობის შედეგია ისეთი მერყევი მდგომარეობა, რომელიც არსებობდა აქამდე ჩვენი ცხოვრების ხელმძღვანელთა შორის.

ამ უკანასკნელ დღეებში თავი დავაღწიეთ ამ მერყევ მდგომარეობას, და ვცდილობთ განვამტკიცოთ საქართველოს ახლად შობილი სახელმწიფოებრიობა. აქამდე კი ჩვენ ვცდილობდით შეგვექმნა ისეთი პოლიტიკური ფორმა, რომელიც ამიერკავკასიის ერთა კერძო ცხოვრებასაც მოაწესრიგებს და საერთო საქმეებსაც გაუძღვებოდა. ამ გზით გვინდოდა მოგვეხდინა ამ ერთა შედუღება და ინტერესთა დანათესავება.

მაგრამ ჩვენთვის ობიექტიური პირობები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, და ჩვენს სუბიექტიურ სურვილებს გადაელობნენ. ამიერკავკასია ისევ გეოგრაფიულ თერმინად რჩება მხოლოდ, ამ ჟამად და მაინც. ერთ ხაზზე მდებარეობა, მხოლოდ გეოგრაფიული ფაქტორი კი მეტად ნაკლები შემომქმედია.

თუმც პოლიტიკოსები დიდი ხანია რაც ამჩნევენ ფიზიკურ ბუნების გავლენას საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და კერძოდ სახელმწიფოს ფორმათა შემუშავებაზე. ძველიდან მოყოლებული დღევანდლამდე ბრძენი—პოლიტიკოსები ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ მოვლენას სხვათა შორის ხსნიდნენ და ან კლიმატიურ პირობებით, ან მდებარეობის სივრცით ან თვისებით, ან ზღვის სიახლოვით და სხ... უკიდურესობამდეც კი მიიყვანეს ეს მოსაზრება, და მაგ სოციოლოგიაში არსებობს მთელი სკოლა, რომელიც მთელ საზოგადოებრივ ცხოვრების ახსნას გეოგრაფიულ ფაქტორით სცდილობს. (ბოკლი (?) და სხ...) სხვათა შორის შენახულია შვეიცარიის საინტერესო დახასიათება ნაპოლეონ I მიერ. 1802 წ. ე. წ. „კონსულტზე“ შვეიცარიის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს ნაპოლეონმა უთხრა:—„რაც მეტს ვფიქრობდი თქვენი ქვეყნის თავისებურობაზე, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ შვეიცარიის ნაწილთა ნაირ-ნაირობა უარჰყოფდა რაიმე ერთი ფორმის შექმნის შესაძლოებას.

თქვენი გეოგრაფიული მდებარეობა, თქვენი რელიგიები, თქვენი ზნე-ჩვეულება, ენები—ყველაფერი თქვენ ფედერალიზმისკენ გეხიდებათ. ან ვინ უარჰყოფდა, რომ შვეიცარია თვით ბუნების მიერვე არ არის შექმნილი ფედერალურალურ წყობილებისთვის? წელიწადში რამდენჯერმე, თქვენს კანტონებს შორის კავშირიც კი სწყდება სავსებით. და რაოდენად განირჩევა თქვენი მთიელი ქალაქ ს მცხოვრებთაგან? განა შეგიძლიანთ თქვენ აიძულოთ დემოკრატიული კანტონი იცხოვროს ისე, როგორც ეს ქალაქებს შეეფერებათ? ან და განა შეგიძლიანთ თქვენ ფიქრი წმიდა დემოკრატიზმის შემოღებაზე თუნდ ისეთ ქალაქში, როგორიც არის ბერნი?

პატარა სახელმწიფოებისთვის ფედერალიზმს დიდი უპირატესობა აქვს. მე თვით მთიელი ვარ, და ვიცი მთის მცხოვრებთა განსაკუთრებითი სული. ნუ, ნუ იქნება ერთფეროვნება,—ნურც ჯარი, ნურც ცენტრისგან დამოკიდებული ფინანსები და გადასახადები“-ო. მართალია ფიზიკურ პირობებს დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებათა მოწყობაზე. არ შეიძლება უარყოფა, რომ ინგლისის ისტორიის საუკეთესო ამხსნელი, სხვათა შორის, თვით მისივე გეოგრაფიული მდებარეობა; შვეიცის განმარტოებულმა მდგომარეობამაც ხელი შეუწყო მისი კონსტიტუციის მუდმივობას. შვეიცარიას დიდი სამსახური გაუწიეს მთებმა, რომლითაც იგი არის გარსშემორტყმული. შეიძლება ამიერკავკასიის გეოგრაფიულმა პირობებმა მომავალში ხელი შეგვიწყონ ამიერკავკასიის სახელმწიფოს შექმნაში, მაგრამ დღეს დღეობით გეოგრაფია ჩვენ ვერას გვშველის იქნებ ამიერკავკასიის გეოგრაფიული სხვადასხვაობით აიხსნებოდეს სხვათა შორის მის კიდეებზე მცხოვრებ ერთა ის შორეულობა, რომელმაც დღეს მეტად იჩინა თავი. შეიძლება საქართველოს მრავალფერ ბუნებამ უფრო ცოცხლად აღზარდა ქართველი ერი, ვიდრე მცხუნვარე და ხრიოკ ადერბეიჯანის ფლეგმატიკოსი ბინადარნი; იქნებ ამითაც აიხსნებოდეს ქართველების მიერ ახალ იდეათა შეთვისების სიადვილე და ოსმანთ მოდგმის ველური გატაცება ისლამიზმით. მაგრამ დღევანდელი მომენტის ახსნა ან და ამიერკავკასიის მთლიან სახელმწიფოს შექმნა გეოგრაფიულ ფაქტორზე დაყრდნობით შეუძლებელიც არის და მიუღებელია დღეს მომქმედი ფაქტორები სულ სხვა გვარისანი აღმოჩნდნენ და საკითხიც ისე უნდა გადაჭრილიყო, როგორც ამას გვკარნახებდა რეალ ძალთა განწყობილება.

ამიერკავკასიაში ყველაზე მძლე ფაქტორი—ეროვნული ფაქტორია. ხოლო ეროვნულ საკითხის ასე გამწვავება რუსეთის პოლიტიკის მწარე შედეგი. იმპერიალისტურმა წადილებმა ვერ შეაგნებინეს რუსეთს, რომ ერი—ძალაა, რომლის არ ცნობა პოლიტიკაში შეუძლებელია, ხოლო თუ შესძლო—საბედისწერო. რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა ისე მოაწყეს საქმე რომ ერებს აჰყარეს ყოველგვარი უფლება და სახელმწიფოებრივი უფლება, როგორც იურიდიულ პიროვნებისა,

როგორ უნდა აეხსნათ მათი წარსული მოქმედება, როდესაც ერთმანეთის სოფლებს აოხრებდნენ და სწვავდნენ, მიწასთანასწორებდნენ, თუ არ მათი უგულშრფელობით, უგუნურობით.

ცხადია, რომ ისინი ამ ექვსი თვის განმავლობაში არ ემსახურებოდნენ ამ ერთა სოლიდარობის საქმეს; პირიქით მიწას უთხრიდნენ ამ სოლიდარობას და ბოლოც მოუღეს მას და დღეს კი მათი მოღვაწეობის ნაყოფი ჩვენ უნდათ თავს მოგვახვიონ.

ნურას უკაცრავად, თუ ქართველი ერი; ქართველი დემოკრატია თქვენ ვერ წამოგყვათ ბოლომდი, რადგან ქართველი დემოკრატია რუყვას მიჩვეული არ გახლავთ ის ყოველთვის გაბედულად მიდიოდა წინ თავისუფლების მოპოვებისათვის და რევოლიუციის მოპოებულ უფლებებს ანმტკიცებდა ცხოვრებაში. ქართველი დემოკრატია არც ბოლშევიკებს იხმობდა ამიერ-კავკასიაში და არც ოსმალოებს ეხვეწებოდა მობრძანდით და გვიპატრონეთო.

ეს თქვენი გზა იყო და სწორედ ამან მიგიყვანათ ასეთ ბოლომდი.

დღეს აცხადებთ ადერბეიჯანის რესპუბლიკას, და განჯაში კი ნახიმ-ფაშა განაგებს და ხალხს იარაღს ჰყრის. ასეთი ბოლო აქვს ყოველთვის, ვინც შოვინისტურ და ერთა შორის მტრულ განწყობილების ჩამოგდებას ემსახურება, ვინც ორპირულ და ორმაგ პოლიტიკას აწარმოებს შინ და გარედ. ჩვენ მაინცა გვწამს, რომ მოვა დრო, როდესაც სომხისა და თათრის ხალხი გაიგებს მათ მეთაურების დამღუპველ პოლიტიკას შედეგებს და ერთმანეთს გაუწვდის ხელს,—ამოვა იმ უკულტურობის მორევიდან, რომელშიაც განგებ ჩააგდეს იგი. და მაშინ ქართველი ერიც მზათ იქნება მათთან ერთად შექმნას თავისუფალი ერთა—თავისუფალი კავშირი.

მხოლოდ მაშინ შეიძლება ფედერალიზმის პრინციპების განხორციელება ამიერ კავკასიაში. მანამდე-კი ქართველებს მხოლოდ თავის ინტერესების დაცვა ექმნება მიზნად.

კოკი აბაშიძე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ **იარაღის აყრის შესახებ.** მილიციის უფროსის განკარგულებით, იარაღის ტარების უფლება აქვსთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც წითელი რაზმის შტაბი დართავს ნებას. ამას გარდა იარაღის ტარება შეუძლიანთ მათ, ვისაც ნებართვა აქვს მიღებული სოც.-რევოლიუციონერთა, სოც.-ფედერალისტთა და დაშნაკცუთიუნის პარტიებისაგან.

◆ **დანიის მისია.** ივნისის 4 ს პეტროგრადიდან ტფილისში ჩამოვიდა კავკავის გზით დანიის წითელი ჯვრის მისია. მისია ბათომში წავა, საიდანაც სტამბოლს გაემგზავრება სამხედრო ტყვეების საკითხის გამოსარკვევად.

◆ **ტფილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი** ამით აცხადებს, რომ მაზრის საერობო ხმოსნების არჩევნები, რომელიც უნდა მომხდარიყო ამ დღეებში, გადადებულ იქნა ერთის თვით. არჩევნების დღე განსაკუთრებით იქნება გამოცხადებული ადგილობრივ გაზეთებში.

◆ **ქარ. ქალთა საქვ. საზ. სკოლაში.** ივნისის 8-ს, 9-ს და 10 (ახ. სტილი) ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სკოლაში (გუბაევის შესახვევი № 3) გაიმართება გამოფენა სხვა და სხვა ნაკერ ნივთებისა, გაიყიდება ხელმისაწდომ ფასებში სუფრები სხვა და სხვა ზომისა, პირსახოცები ტილოსი და ბატისტისა, ზედატნები, ხელსახოცები და სხ. გამოფენა ღია იქნება მთელი დღე.

ირაკლი ესტატის ძე ფურცელაძემ ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების პრა-კურსის სკოლის ასაშენებლად შემოსწირა ასი მანათი, რისთვისაც საზოგადოების გამგეობა უღიდეს მადლობას უძღვნის.

◆ **ახალი წიგნი** რედაქციამ მიიღო მთავრიშვილის მიერ გამოცემული „დაწყებითი ალგებრა“, შედგენილი ვ. ყიფიანის მიერ. წიგნი 4 მან. ღირს.

◆ **ლტოლვილთა დამხმარე ოზურგეთის** კომიტეტის თავმჯდომარე კოპლატაძე ლანჩხუთიდან იტყობინება დეპეშით: მტრის მიერ დაცლილ ადგილებში დაბრუნებულ ლტოლვილთა გაჭირვებულ მდგომარეობის გამო აღნიშნული კომიტეტი შუამდგომლობს ლტოლვილები და მათი ქონება ნატანებამდე უფასოდ გადაზიდონ ამ კომიტეტის სახელით.

◆ **რკინის გზები.** ამიერკავკასიის რკინის გზათა ყოფილმა უფროსმა პოლკ. ოკუნევმა შემდეგი დეპეშა დაგზავნა რკინის გზებზე: ადერბეიჯანის რესპუბლიკა გზათა მიმოსვლის მინისტრთან მიწერ-მოწერის თანახმად ადერბეიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში რკინის გზათა უფროსის მოვალეობა მე გადავეცი ინჟინერ პარკას—მირზას. ყოველგვარ საქმეებზე უნდა მიმართოთ მას განჯაში.

◆ **სომხეთა ეროვნულმა საბჭომ** საქართველოს მთავრობას სთხოვა სად. სანაინზე სასწრაფოდ გაგზავნოს შავშნიანი მატარებელი ლტოლვილთათვის სურსათის და მედიკამენტების წასაღებად. რადგანაც ლორის ხეობაში მყოფ ლტოლვილთა მდგომარეობა თან და თან მძიმდება.

◆ **მოლაპარაკება თერგის ოლქის სახ. საბჭოსთან.** ვ. არდიშვილი და ვ. თევზაია მთავრობამ რწმუნებულებად დანიშნა თერგის ოლქის სახალხო საბჭოსთან მოლაპარაკების საწარმოებლად პოლიტიკურ, სტრატეგიულ და ეკონომიურ საკითხებზე. ამ მიზნით ეს პირნი კავკავში მიემგზავრებიან.

◆ **ოზურგეთის დაცლა.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დეპეშით ატყობინებენ გურიიდან, რომ ოზურგეთი დასცალეს ოსმალოებმა მაგრამ წინდაწინვე გაზიდეს, რის გაზიდვაც კი შეეძლოთ და არც ერთი მარცვალი სიმინდი არ დაუტოვებიათ.

◆ მთავრობამ გრაფ შულენბურგს სთხოვა სოხუმში მდგარ გერმანელთა პიკეტის უფროსს განუმარტოს, რომ მარსელიოზა სარევოლუციო სიმღერა და საქართველოს რესპუბლიკაში იგი აკრძალული არ არის.

◆ ფოთის ქალაქის თავი კორძაია მთავრობას აუწყებს ივნისის 1-ს ფოთში გერმანელთა ყოფნის შესახებ დაწვრილებით ცნობებს: დელეგაციამ ფონ-ლოსსოვის მეთაურობით ინახულა ქალაქის გამგეობა მათ მიესალმა ქალაქის თავი, რის შემდეგ მათ დაათვალიერეს ქალაქი, ხოლო 7 საათზე გამართა სადილი, რომელზედაც ფონ-ლოსსოვმა საქართველოს რესპუბლიკის სადღეგრძელო დალია და უსურვა მას აყვავება.

◆ **რკინის გზათა ქართველ მოსამსახურეების კავშირის საბჭოს** მორიგი სხდომა შესდგება კვირას, 9 ივნისს, დილის 11 საათზე ქართული კლუბის შენობაში. კანდიდატების დასწრება აუცილებელია.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

Max ის გუშინდელ წერილში „წერილები ფრონტიდან“, მეხუთე სვეტში, მეოთხე აბზაცში სწერია: „...და რევოლიუციის წერისთვის“, უნდა იყოს: „და რევოლიუციონერისთვის“.

ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

საოლქო ცენტრში ივნისის 5-ს მოხდა საოლქო ცენტრის და ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებული კრება. გადმოხვეწილთა კომიტეტში აირჩიეს აზატიანი და დენისოვი.

შემდეგ განხილულ იქნა ზავის საკითხი. მოხსენება წაიკითხა ირაკლი წერეთელმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობა მუდამ ისეთ პოლიტიკას აწარმოებს, რომელსაც ქვეყნის ეხლანდელი მდგომარეობა აუცილებლს ჰხდის. შემდეგში დემოკრატიის მოვალეობაა რეალურ ძალთა შექმნა საზავო ხელშეკრულების პირობათა დაცვა. ხანგრძლივ კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ცნობა ოსმალეთის და საქართველოს რესპუბლიკის შორის საზავო ხელშეკრულების დადების საოლქო ცენტრმა დაადგინა ყოველი ღონე იხმაროს სახელმწიფოში მტკიცე დემოკრატიულ წესწყობილების დასამყარებლად და რეალურ ძალთა შექმნა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა დაცვა.

ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ

◆ ვაჟთა გიმნაზიაში. თელავის ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში მისაღები გამოცდები დაიწყება 16 მარიამ. და 5 ენკენისთვემდე გაგრძელდება. გიმნაზიაში თავისუფალია რამდენიმე ადგილი: ინსპექტორის, რომელიც უთუოდ ფილოლოგი უნდა იყვეს; რუსული ენის გაკვეთილები—ორი ადგილია თავისუფალი; ქართული ენისა—აგრედვე ორი ადგილი, ბუნებისმეტყველების და კლასის დამრიგებლის.

ᲡᲐᲥ. ᲡᲝᲪ.-ᲤᲔᲓ. ᲡᲐᲠᲔᲕ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

დღეს, 7 ივნისს, დანიშნულია პარტიული მორიგი კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. კოკი აბაშიძე. მოხსენების შემდეგ კამათი. დასაწყისი სად. სრულ 7 საათზე. ბინა: ნ. ძალადიდის ეკლესიის ეზო. სკოლის შენობაში.

ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ

ზავისა და სომხეთის დამოუკიდებლობის შესახებ „მშაკი“ (№ 103) სწერს:

„საშინელ სულიერ-ზნეობრივის და ფიზიკურ ეკონომიურის რღვევა-დაშლისა და დაცემის გამო შექმნილ ჯოჯოხეთურ პირობებში, მწვავე ცრემლების ფრქვევით და მწარე სევდით მოცული ჩვენ იძულებული გავხდით ოსმალეთთან სეპარატიული ზავი შეგვეკრა და უბედური და დაბეჩავებული ჩვენი ერის საცოდავი ნაშთები მაინც გადაგვერჩინა. ჩვენ ისეთ მდგომარეობას მივაღწიეთ, რომ ერთი პატარა ნაკვეთი მთაგორიანი და უნაყოფო მიწისა რომელიც დიდის სულგრძელობით დაგვიტოვა მტერმა, უნდა მივიღოთ, როგორც ერთად ერთი გზა ხსნისა, რადგან ჩვენს მოხეტიალე ერს თითქმის თავმის დები ქვაც არ გააჩნია.

ივნისის პირველს, ანუ ძველი სტილით მაისის, 19-ს შაბათს, ჩვენ 4000 წლის ისტორიული ასოების მქონე სომხის ერის შთამომავლებმა, დავმარხეთ ჩვენი ისტორიული მამულ-დედული, ჰაისტანი (სომხეთი).“

არზრუმის დაკარგვის შემდეგ სომხის ერი საშინელი გაჭირვებაში ჩავარდა და მთა და ბარს მოფენილი გადარჩენის საშუალებას ეძებდა:

„დღეს სომხის ეროვნულმა საბჭომ პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმებით ეს საშუალება ოსმალეთის ულტიმატუმის მიღებაში დაინახა. და, მართლაც, სხვა რაიმე გამოსავალის მოძებნა ეხლანდელ პირობებში შეუძლებელი იყო. აუცილებელი იყო, რომ უბედურ ხალხს ცოტა თავისუფლი ამოსუნთქვის საშუალება მისცემოდა. ამიტომ, რაც უნდა მძიმე იყოს მიღებული პირობები რაც უნდა შეუძლებელი გახდეს ჩვენთვის მტრის დანათმობ მიწებისაგან მომავალი ჰაისტანის შექმნა, ე. ი. ისეთი ქვეყნის შექმნა სადაც სომხის ერის ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნება, ყველა ამის მიუხედავად ჩვენ მაინც სასოწარკვეთილება და სულით დაცემა არ გვმართებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაღუპულა, ჯერ კიდევ იმედია, რომ ჩვენ ფეხზე წამოვდგებით. ჩვენ სრულიად არ ვგულისხმობთ რაიმე რევანშს, არა, პირიქით, ჩვენ მთელ ჩვენ იმედებს მომავლის შესახებ ვამყარებთ იმ კეთილ მეზობლურ განწყობილებაზე, რომელიც ჩვენ უნდა შევქმნათ, უნდა ვეცადოთ შევქმნათ ჩვენ მეზობელ თურქებთან, ადერბეიჯანთან, რომლებზედაცაა ამიერიდან დამოკიდებული ჩვენი ბედი. ჩვენ შეუძლებლად არ მიგვაჩნია რომ ერთი ერთმანეთის დათმობით და შეთანხმებით ჩვენ დავიყოლიებთ ჩვენ მეზობელ თურქებს, რომ დაგვითმონ ჩვენ მომავალი სომხეთის ტერიტორიისათვის დარალაგიაზი და ყარაბაღის სომხებით დასახლებული ნაწილები, განსაკუთრებით უყარაბაღოდ, რომელიც შეადგენს სომხობის ხერხემალს, შეუძლებელია სომხეთის სხეულის სიცოცხლე.

შემდეგ გაზეთი განმეორებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად მდგომარეობის საშინელებისა, სასოწარკვეთილება არ მართებს სომხის ერის მესვეურებს, არამედ ენერგიული მუშაობა ხალხის განსაცდელისაგან დასახსნელად.

„დავაბრუნოთ ხალხი თავიანთ ადგილებზე და შევუდგეთ შემოქმედებით მუშაობას.

ზავი შეიკრა! გაუმარჯოს ზავს! ვეცადოთ ყოველნაირად რომ ის არ დაირღვეს, სანამ არ დამყარდება საყოველთაო, საერთაშორისო ზავი, რომელიც საბოლოოდ გამოარკვევს ჩვენს ბედს“.

იგივე გაზეთი (№ 104) ეხება სომხების დამოუკიდებელ სახელმწიფოს გამოცხადების პროექტს და არსებულ პირობებში სომხობის საზარალოდ მიაჩნია ამ დამოუკიდებლობის გამოცხადება, ქართველების და თურქების წაბაძვა არ გვარგიაო.

„ჩვენ სრულიად სხვა პირობებში ვიმყოფებით ვიდრე ქართველები და ჩვენებური თურქები იმყოფებიან. საქართველოს და ადერბეიჯანს შეიძლება დამოუკიდებლობამ ბედნიერება მოუტანოს, მაგრამ ჩვენ კი, ჰაისტანის დამოუკიდებლობა ხეირს არ დაგვაყრის.

და ეს მეტად ცხადი და ნათელია. ჯერ ერთი ჩვენ არა გვაქვს ჰაისტანი და არარატი. არამედ ჩვენ მოგვცეს ყოფილი ჰაისტანის მხოლოდ ერთი პატარა ნაკვეთი, ისიც უმეტეს ნაწილად მთაგორიანი; ჩვენ არა თუ ზღვა არ გაგვაჩნია, არც ერთი დიდი მდინარე არ მოგვეპოვება; ჩვენ არა გვაქვს ტყე, ჩვენ არა გვაქვს რკინის გზა—ჩვენ ვემსგავსებით სხეულს, რომელსაც ცალი ფეხი, ცალი ხელი და ცალი ყური მოჭრილი აქვს, ცალი თვალი ამოთხრილი, თითქმის გულისა, სულისა და ტვინის თითო ნაწილიც ამოკვეთილი აქვს. ჩვენ დაჭრილი და დასახიჩრებული ვართ, ცხადია, ასეთ უსახო აკუწულ-დაკუწულს სისხლისაგან დაწრეტილს სხეულს ცხოვრება, განვითარება და გამოცოცხლება არ შეუძლიან, მან დამბლა დაცემულივით საბრალო სიცოცხლე უნდა ზიდოს. რადგან ჩვენ არ გაგვაჩნია არც ტყეები, არც მადნები, არც მდინარეები, არც ნაყოფიერი მინდვრები; რადგან ჩვენ არ გვაქვს განვითარებული ვაჭრობა მრეწველობა ინდუსტრიალური წარმოება და სხვა.. ჩვენ ერს არ შეეძლება ცხოვრება და იძულებული იქნება წავიდეს და იდოდიალოს უცხო ქვეყნებში ცხოვრების სახსარის საშოვნელად, წარმოებისა და ალებ-მიცემობის გულისათვის. ჩვენ არ გვექნება საკმაო ნივთიერი საშუალება მთავრობის, ჯარისა და ადმინისტრაციის შესანახად. რადგან რუსეთიდან გამოყოფილი ვართ, ჩვენ ფქვილს ვეღარ მივიღებთ, ძლიერი მეზობლებით ალყა შემორტყმული ჩვენ მუდამ საფრთხეში ვიქნებით. დასასრულ რუსეთს და ბოლშევიკებს ჯერ ხელი არ აუღიათ ამიერკავკასიაზე და ჩვენ მეამბოხეებად გვთვლიან; ჯერ გამოურკვეველია ომის დასასრული და შედეგი, ჯერ კიდევ ინგლისელები სპარსეთიდან შემოსეული და დაპყრობით ემუქრებიან ამიერკავკასიას ყოველივე ეს ფრიად სერიოზული მიზეზები გვაიძულებს წინააღმდეგით სომხეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკის პროექტს [illegible] რაიმე ახალი, [illegible] გამოსავალ[illegible]

ასეთ გამოსავლად გაზეთს მიაჩნია სომხეთის შესვლა ადერბეიჯანის ფარგლებში. (იხ. ჩვენს დღევანდელ გაზეთში „სომხეთი და ადერბეიჯანი“) ეს პროექტი მიაჩნია მას საუკეთესო გამოსავლად არსებულ მდგომარეობიდან.

მხოლოდ ამ პროექტის განსახორციელებლად აუცილებელია ერთი პირობა. ეს პირობა იმაში მდგომარეობს რომ სომხეთის დროებითი მთავრობა თუ ეროვნული საბჭო შესდგებოდეს ისეთი ელემენტებისაგან რომელნიც ოსმალებს ნდობას ჩაუნერგავენ და დაარწმუნებენ რომ ჩვენ შევცვლით ჩვენი პოლიტიკის კურსს. ამისათვის კი, გულახდილად უნდა ითქვას, საჭიროა რომ საქმის მესვეურებად ისევ დაშნაკცაკანები არ დარჩნენ. აქ საწყენი არაფერია, ეს მამულიშვილური მოვალეობაა. ამ მოთხოვნილებას აყენებს დღეს საზოგადოებრივი აზრიც თითქმის მთელი სომხის ერი. ცხოვრებასა და ისტორიაში იყო და არის წუთები, როცა უდიდესი მოღვაწეები იძულებული იყვნენ დროის მოთხოვნილებებს დამორჩილებოდნენ, საზოგადოებრივ ასპარეზს განშორებოდნენ და ადგილი სხვებისათვის დაეთმოთ.

† ᲐᲑᲔᲡᲐᲚᲝᲛ ᲔᲠᲛᲘᲚᲔᲡ ᲫᲔ ᲮᲐᲠᲐᲘᲫᲔ

ამხანაგებო, თქვენ წაიკითხავდით გაზეთ „ხალხის მეგობრის“ 18 მაისის ნომერს, რომელიც გვაცნობდა, რომ ამ დღეს ხდებოდა ცხედრის დაკრძალვა იმ გმირისა, რომელმაც თავი შესწირა, და გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე, ძვირფას სამშობლოს და თავისუფლებისათვის. დიახ, გმირია ეს, რომელიც იბრძვის უკანასკნელი სისხლის წვეთამდის მტრის წინააღმდეგ. გმირნი არიან კაპიტან შავგულიძესა და დოლიძესავით, ის პირებიც, რომლებმაც მათთან ერთად ანარიის ფორტის დასაცავად იბრძოლეს უკანასკნელი სიცოცხლის ჟამამდის. გმირია ის, რომელიც გვერდ გამოგლეჯილი ბომბის ნახეთქიდან, სწვდება ტყვიის მფრქვეველ მანქანას და სცლის რამოდენიმე ლენტს მტრის გულის გასაგმირავად. ასეთი მებრძოლი იყო პირველი ქართული მსროლელი პოლკის ოფიცერი პორუჩიკი აბესალომ ერმილეს ძე ხარაიძე (სოც. ფედ.). მან შესწირა თავისი სიცოცხლე თავისუფლებას, მან შესწირა თავისი ძალა და ღონე სამშობლო საქართველოს. ეს იყო მსხვერპლი პირველი აპრილისა, ეს იყო და მოხდა მაშინ, როდესაც ჩვენმა შერცხვენილმა ჯარისკაცებმა არ დაუჯერეს თავიანთ უფროსებს მიატოვეს თავიანთი პოსტები და გამოიქცნენ უკან, რითაც ხელი შეუწყეს ოსმალოს ალყერთოვანებას, და ამის შედეგიც იყო ის, რომ ნახევრად ტიტველ შიშველმა და მშიერ-მწყურვალმა ოსმალოს ჯარმა ხელთ ჩაიგდო დიდებული სიმაგრე ბათომისა.

აბესალომ ერმ. ხარაიძის სიკვდილმა, ბევრს დაუწვა გული, ბევრს აუდუღდა გული მისი წარსულის მოგონებით, რასაც ამტკიცებს მისი ცხედრის დაკრძალვის დღე, და ის სიტყვები, რომლებიც იყო წარმოთქმული მისი უკანასკნელ განსვენების ადგილთან.

პირველ აპრილს ბრძოლის ველზე დაცემული გმირი აბესალომ ხარაიძე მიაბარეს სამშობლო მიწა-წყალს.

ჯერ სიცოცხლით სავსე ყმაწვილმა და ცხოვრებით დაუმტკბარმა, ამ ქვეყნიერად, მოიპოვა ხალხში იმდენი სიმპატია, ძმური და ამხანაგური სიყვარული და თანაგრძნობა, რომ მისმა სიკვდილმა, ყველას თავზარი დასცა, ყველა ააქვითინა მშობლიური, დამძური და ამხანაგური სიბრალულით. ყველას მწუხარების ბოლმით აევსო გული და გაიძახოდნენ: არა არ გვჯერა, რომ ჩვენი შვილი, ჩვენი ძმა და ჩვენი ამხანაგი აბესალომი ოცდა ერთი წლის ჭაბუკი, სიცოცხლეს მოკლებული იყოსო, არა არ გვჯერა, რომ მტრის ტყვიისგან გულ განგმირული ბრძოლის ველზე ეგდოსო, მაგრამ დადგა ჟამი, როდესაც მოიტანეს გაციებული გვამი გმირის აბესალომისა, რამაც ყველა ექვიდან გამოიყვანა და ზედმეტმა ქვითინმა და მწუხარებამ მოიცვა არე მარე და მათი გული.

თუ რა დასაკლისი იყო ამხანაგი აბესალომ ხარაიძე, არა მარტო მისი მშობლებისა და ნათესავებისათვის, არამედ იმ თანამებრძოლ მოძმეთათვის,

---

მხოლოდ ველიკოროსებს დაუტოვეს ერები კი რჩებოდნენ როგორც მოუწყობელი სტიქიონი. და სწორედ ამ სტიქიონმა ჩაყლაპა რუსეთის სახელმწიფოებრიობა.

ერებმა კი რუსეთის რევოლიუცია უმთავრესად თავიანთ ეროვნული განთავისუფლებისთვის გამოიყენეს. ჯერ ყველას წრფელი სურვილი იყო ერთად მოწყობის ფედერაციის სახით, მაგრამ ვერ მოხერხდა და ყველამ საკუთარი გზა გამონახა.

ეროვნული საკითხის გადაჭრა კი აუცილებელ საჭიროებად დაინახეს. და ამ სწორედ რუსეთის მთლიანობის დროს დაწყებული ეროვნული მოძრაობის უკანასკნელი აქტია საქართველოს დამოუკიდებლობა. და ამიერკავკასიის სახელმწიფოს შეუძლებლობაც ამითვე აიხსნება. ეროვნული საკითხი ყველა ერს თავისებურად ესმის და მის შესაფერად გადაჭრისთვის მოქმედობს. ხოლო ჩვენი ეროვნული მოძრაობა მთელს ქვეყანაზე გაშლილებულ ეროვნულ მოძრაობის ერთი ნაკვეთაგანია. მე-19 ს. სახელმწიფოებრივი გარდაქმნა ეროვნულ პრინციპის ნიშნით დაიწყეს. ყოველივე ერი უნდა შეიქმნეს სახელმწიფოდ, და სახელმწიფო უნდა შესდგებოდეს მხოლოდ ერთი ერისაგანო. ამით აიხსნება ბრძოლა გერმანიის გაერთიანებლად; იტალიის სერბიის, საბერძნეთის, რუმინიის, ბოლგარიის და სხ. განთავისუფლება. ამითვე აიხსნება ბრძოლა პოლონელთა, საკუთარ სახელმწიფოს აღსადგენად. ირლანდიელების ბრძოლა ჰომრულისთვის და სხ. და ეს სახელმწიფოებრივი გარდაქმნა ჰხდება ორი მოსაზრებით: ერის გასანთავისუფლებლად, და მისი მილიონობის შესარჩენად. სტიმული კი, ეროვნულ მოძრაობისთვის უსათუოდ უცხოთა ბატონობას [illegible] იყო. ეს დებულება გამომდინარეობს მთელი მე-19 ს. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოძრაობის ანალიზიდან. ავიღოთ საფრანგეთის რევოლიუცია. რატომ გადიქცა იგი ეროვნულ ბრძოლად? მიტომ, რომ ევროპის აბსოლიუტიზმის შეთქმულება მონობას უქადდა ვნებაანთებულს, გატაცებით ჰაბუკ საფრანგეთს. და აკი საფრანგეთმა ყველაფერი, თვით თავისი პოლიტიკური თავისუფლებაც კი მსხვერპლად მიიტანა სამშობლოს საკურთხეველზე, ოღონდ გარეშე მტერს კი არ დამორჩილებოდა. ხოლო როდესაც გათამამებული ნაპოლეონის ლაშქარი შეიჭრა გერმანიის საზღვრებში, გერმანიაც შეირხა, შეტორტმახდა და აქაც გამძაფრდა ეროვნული თავისუფლების მწველი სურვილი. ირლანდია, იტალია, პოლონეთი, საბერძნეთი. სლოვენები... აი მეამბოხე ერები, თავისუფლების მაძიებელნი. ამ თავისუფლების მაძიებელ ერთა რიცხვში ჩვენც მოვექეცით. ისტორიაში უსათუოდ ჩაიწერება ეროვნული მოძრაობა ამიერკავკასიაში. მაგრამ თვით მოძრაობა ვერ ამოუდგება გვერდით თუნდ მაგ. იტალიის ან და საბერძნეთის განმათავისუფლებელ ეროვნულ მოძრაობას. ამიერკავკასიაში ეროვნული მოძრაობა და გამოყოფაც გარეშე ძალის მიერ მოხდა. არ მოსწოლიყო ოსმალეთი, ამიერკავკასია რუსეთის ორიენტაციას თავს ვერ დაანებებდა. ეს არ ითქმის ადერბეიჯანზე, მაგრამ ქართველ-სომხების პოლიტიკა კი ექეთ იყო წარმართული. ოსმანთა დირიჟორობითვე შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერატიული დემოკრატიული რესპუბლიკა, და ოსმანთა დირიჟორობითვე შეირყა მისი სიმტკიცე. გარეშე ძალას კი არ უნდა შეეკავშირებინა ერები, არამედ შინაგან მიდრეკილებას. აღმოჩნდა შინაგანი მიდრეკილებათა წინააღმდეგობა, და აკი დაირღვა კიდეც ამიერკავკასიის ფედერატიულ დემოკრატიულ სახელმწიფოს მოჩვენებული მთლიანობა. ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნა მიტომ გამოდგა ასე ტრაგიკული, და ეს წადილი მიტომ გამოდგა კატასტროფული, რომ 1) გარეშე ძალა მეტად სწრაფად გვესხმის თავს და ყოველ-დღე ახალ-ახალ პერსპექტივებს გვიშლის თვალწინ. მტრის მსვლელობა დღიურ კითხვად გვიყენებს არა სახელმწიფო ფორმათა ნებიერ არჩევნებს, არამედ ეროვნულ თავდაცვის ენით გველაპარაკებს. ეს თავდაცვა კი სხვა და სხვა გვარად იშლება თვალწინ. 2) ამიერკავკასიაში უნდა შექმნილიყო რთული სახელმწიფო, რომელიც შეარიგებდა და დააკმაყოფილებდა ამ გეოგრაფიულ ერთეულზე მოსახლე ყველა ერებს. ეს კი მეტად ძნელი საქმეა თვით კულტურულად თანაბარ და მაღალ დონეზე მდგარ ერებისთვისაც კი. ჩვენ კი არც თანაბარი კულტურული დონე გაგვაჩნია და არც სიმაღლე.

ამიერკავკასიის სახელმწიფოში უნდა ყოფილიყო საერთო ინტერესები, და ამას გარდა თვით კერძო ინტერესთა შერიგებაც უნდა მომხდარიყო. ნამდვილად კი თითქმის არ აღმოჩნდა საერთო ინტერესები. პირიქით ისეთი წინააღმდეგობა აღმოჩნდა, რომ ერთაშორისი შუღლისთვის მეტად შესაფერ პირობებს ჰქმნიდა. ამ გვარ პირობებში კი თუნდ დროებით, ამიერკავკასიას შეაერთებდა მხოლოდ ძლიერი მთავრობა, რომელიც ძალით შეადუღებდა ყველა სტიქიონს. მაგრამ არც ასეთი ძლიერი მთავრობა არსებულა, და რომ ყოფილიყო კიდეც, იგი ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკის არსებას, სადაც თავისუფლება შეადგენს პოლიტიკურ წყობილების საძირკველს. თავისუფლებას კი ინტერესით განთვითოებული ერი განცალკევებისკენ მიჰყავს და აკი მოხდა კიდეც. და მოხდა მარტო ჩვენში კი არა. ამ სახელმწიფოებრივ კატასტროფებს აქვს თავისი ისტორია. აი ავიღოთ თუნდა ამერიკის შეერთებული შტატები, თუნდა შვეიცარია და სხ. ბევრია მაგალითები, რომ ინტერესთა წინააღმდეგობა გადაქცეულია დამშლელ ძალად. მაგრამ ამ მაგალითებს ცოტა ქვემოდ მოგახსენებთ.

მაშასადამე ამიერკავკასია, ინტერესთა წინააღმდეგობით აღსავსე, არ გაძლევდა საშუალებას მის გაერთიანებისას, შეკავშირებისას. რასაკვირველია ეს კერძო მოვლენებია, დროებითი, და დღეს გვიშლიან ხელს. ხოლო თუ ცოტა ავმაღლდებით და ყოველდღიურ ინტერესთა დაწვრილმანებას თავს დავაღწევთ, დავინახავთ, რომ მიუხედავად გზათა წინააღმდეგობისა, როგორც ეს დღეს გვეჩვენება, ამიერკავკასიის ერთა შორის არსებობს ღრმა, შინაგანი კავშირი. ოღონდ ამის დასანახად საჭიროა ისტორიის საერთო მიმდინარეობა და არა კერძო მოვლენათა ბეცი გამოყენება. მაგრამ ისიც მართალია, რომ ფართო ისტორიული ორიენტაციისთვის საჭიროა მეტი კულტუროსნობა. ეს პირობა კი ამიერკავკასიას არ ახლავს.

მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია გავარკვიოთ, თუ სახელმწიფოს რომელი ფორმა შესძლებდა ამიერკავკასიის ერთა ცხოვრების განმტკიცებას ისე, რომ ცალკე ეროვნული მიდრეკილებანიც დაეკმაყოფილებინა და ერთა შეკავშირებაც შესძლებოდა. როგორი გზით შეგვეძლო ნამდვილი პოლიტიკური შემოქმედების დაწყება და თავისუფლების შერჩენა?

ვახტანგ კოტეტიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ამ ჟამად იმყოფებიან მტრისგან ჩადებულ ტერიტორიაზე და აგრეთვე აქ მყოფთათვისაც, ამას მოწმობენ წარწერანი იმ გვირგვინებზე და იმ სამგლოვიარო დროშაზე, რომელნიც ამკობდნენ მის კუბოს.

საუკუნო იყოს ხსენება შენი ამხანაგო აბესალომ.

ვიქტორ მოქალაქიშვილი.

სოფელი და საქართველოს დამოუკიდებლობა

სოფლის ცხოვრება არც ისე სადა და მარტივია, როგორც ეს ზოგიერთ ზერელს მოაზროვნე ინტელიგენტს გონია და არც ისე ფანტასტიური, საოცარ მოვლენათ ბუდე, როგორც ეს ფუქსავატ მეოცნებეს შეთხელებულ გონების ფანტაზიას აქვს წარმოდგენილი. სოფლის ცხოვრება რთული და მრავალფეროვანია, სოფელი თვისი სპეციალური თვისებებით ხასიათდება, განსაკუთრებული ზნე-ჩვეულების მქონე და ინტერესების მატარებელია, რომელიც ღრმა შინაარსისად ხდის მის ცხოვრებას, ალამაზებს, აფერადებს და მომხიბლველ სახეს ანიჭებს.

სოფელს თვისი მკვლევარი, მისი ცხოვრების მიუდგომელი შემფასებელი, ბოლოს ამღები და გამომცნობი საჭიროა.

დღეს მას მხოლოდ კორესპონდენციებით, რომელიც ერთი ორი წერილის გამოკლებით მკრთალი, ღარიბი შინაარსისაა და ბევრს საყურადღებოს და უმთავრეს საგნებს გვერდს უხვევს და ან ბავშვობის და ან ზაფხულის სტუმრობის დროის შთაბეჭდილებებით და იცნობენ.

არც ერთი ეს ნამდვილს სურათს, უტყუარ სახეს სოფლისას და მისი ცხოვრებისას არ იძლევა. ამრიგად სოფელი დღეს ჩვენთვის უცნობ— ქვეყნად არის დარჩენილი და ამიტომაც ვხედავთ ასეთ კურიოზებს. ხშირად, რომ ჩვენ სოფლისაკენ გულწრფელად მივისწრაფით, მაგრამ ჩვენსასის ვერ იგებს და მისი ჩვენ არ გვესმის. ჩვენ მიერ მათი წყლულებისათვის მიწოდებული წამალი მიზან-შეუწონილია ხშირად, მის იარებს ვერ კურნავს. ორ სხვა და სხვა პოლიუსზე ვდგევართ, ერთმანეთს შევცქერით, მაგრამ საერთო ენა ვერ გამოგვინახავს და დახმარებას ვერ უწევთ.

სოფელს, მის შვილს მიწის მუშას სავსებით ვერ ვიცნობთ, მის დახასიათებაში ან გადაჭარბებულ იდეალიზმს ან გადაჭარბებულ პესიმიზს ვიჩენთ.

ყველა ეს ჩვენი ცხოვრების დიდი ნაკლია და ინტელიგენციის სახალხო მოღვაწეობის ხელის შემშლელი, შემაფერხებელია. ასე იყო ეს დღემდის ეხლა კი ძირიანად უნდა გარდაიქმნეს ყოველივე. ძველი რეჟიმის და საქართველოს მონობის მძიმე უღლის ქვეშ ყოფნის დროს ჩვენი სოფლის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული წარმატებისათვის ყოველივე გზა მტკიცედ იყო დახშული. მშრომელ ხალხისა და ინტელიგენციის შორის მტკიცე შემაერთებელი ძაფი არ იყო გაბმული. ამას თვით იმ დროის ცხოვრების პირობები უშლიდა ხელს.

ინტელიგენციის და დემოკრატიის ერთობა, შეკავშირება და დაახლოვება ვერ ხერხდებოდა. მათი ერთმანეთისაგან დაშორება გათიშვა შეადგენდა ბიუროკრატიულ რუსეთის სულისკვეთებას ხელოვნურად ღრმავდებოდა ამ ორ სოციალურ ჯგუფებს შორის უფსკრული.

ასე შეიქმნა ის მდგომარეობა, რომელიც მე ეხლა ზემოთ ამ ჩემს წერილში აღვნიშნე. ყოველივე ეს ძველი რეჟიმის და ჩვენი უუფლებობის, ნაშთია. და დღეს როდესაც ყოველივე დამაბრკოლებელი პირობები არ არსებობს, გაქარწყლებულია და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენს ეხლა უნდა ძირიანად აღმოიფხვრეს იმ ტანჯულ და მწარე დროის ნაშთები.

ეხლა უნდა გაკეთდეს ინტელიგენციისა და დემოკრატიის დაახლოვების, ერთობის საქმე, მათ შორის მტკიცე და შეურყეველი კავშირი უნდა შეიქმნეს, საქართველოს წელში მოხრილი, გაძარცვული, გაღვერანებული და დაქვეითებული სოფლები უნდა ბლ დგეს და კულტურა პროგრესისაკენ ამირანისებური ნაბიჯით განაგრძოს წინსვლა.

დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოში განახლებული და აღორძინებული სოფელი ყოველმხრივ უნდა ვითარდებოდეს, წინ მიიწევდეს. მრავალი მისი ტკივილი ეხლა ელის სამკურნებელ მალამოს.

დღემდის ობოლმა სოფელმა დღეს დამოუკიდებელ საქართველოში თავისი გულშემატკივარი და ნამდვილი ჭირისუფალი უნდა ჰპოვოს.

ილო ლოლუა.

ბოლშევიკები სამეგრელოში.

„ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირს“ო, უთქვამს ბრძენს. მაგრამ ეს ვერ შეუგნია სამეგრელოს დემოკრატიას! „შიგან გამაგრების“ მაგივრად ჩვენში ხდება წინააღმდეგი: იწყება რღვევის პროცესი მთელი თავისი სიგრძე სიგანით, რაც ართულებს და აირკეცებს ისედაც რთულ მდგომარეობას. ამ უკანასკნელ ხანებში სამეგრელოში „შინაური ფრონტი“ ისე ჩნდება, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ. რასაკვირველია ასეთი ანარქია, შინ არევ-დარევა, რევოლიუციონური დისციპლინის დარღვევა ხელს უწყობს ოსმალოების გამარჯვებას.

საერთო ფერხულში სამეგრელო გვიან და ზანტად ჩაება, თუმცა მეგრელები უწინ განთქმულნი იყვნენ ვაჟკაცური სიმამაცით, დღეს დაივიწყეს წინაპართა ტრადიცია და სამარცხვინო „სიზარმაცით“ ისახელეს თავი. მაშ, იკითხავს მკითხველი, მეგრელებში ჩაიქრალა ინსტინქტი თავდაცვის, ეროვნული ვინაობა?!—არა! მეგრელებმა ყოველივე ჩაიდინეს რე[illegible]ლად ბოლშევიკების წყალობით, როგორც ამას ეხლავე დავინახავთ.

დაჰბერა თუ არა რეაქციის სიომ, ბოლშევიკებმა,—ნამდვილად კი ანტიდემოკრატებმა, იდროვეს და დაიწყეს გაცხარებით აგიტაცია—პროპაგანდა სამეგრელოს სხვა და სხვა ადგილებში. ეს იმ ხანაში გახლდათ, როდესაც ჩვენში ახალი გამოცხადებული იყო ჯარის მობილიზაცია და მტერი ნელი და მტკიცე ნაბიჯით უახლოვდებოდა ბათომს. ოთხი წლის ომიანობით ილაჯ გაწყვეტილი ხალხი რყევაში იყო და პასიურად ეკიდებოდა მობილიზაციის იდეას. ამით ისარგებლეს ბოლშევიკებმა, ათას გვარი პროვოკაცია გაავრცელეს ხალხში, როგორც მობილიზაციის, ისე ამიერ კავკასიის რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ. ხალხის ფსიქოლოგია, მისის სულისკვეთება ისეთია, რომ მის ყოველგვარად მოქცევა შესაძლებელია. „ბოლშევიკებმა“ ყალბ თამასუქს ფართო ასპარეზი მისცეს, მუშა დემოკრატია წამოეგო სასიკვდილო ანკესს. გაჩნდა „ფრონტი“ ზანძაში, მიემატა ნოქალაქევის „გამაგრებული პოზიცია“, გამოეხმაურა ძველი-სენაკი... და არავინ უწყის რით დამთავრდებოდა ეს, რომ მთავრობის რაზმს თავის დროზე არ ჩაექრო იარაღის საშუალებით რესტავრაციის ცეცხლი.

ამ რიგად აღმოსავლეთ სამეგრელოში „ბოლშევიკების“ „საგმირო საქმენი“ კლასიკური დამარცხებით დამთავრდა; მაგრამ ამით საქმე მაინც ვერ დაბოლოვდა. ვერ მოეღო ბოლო მათ ავანტიურას. ამ თვის შუა რიცხვებში „ანარქო-სინდიკალისტები“ გაჩნდნენ დასავლეთ სამეგრელოს მივარდნილ კუთხეებში, სადაც მათ ბლანკისტურ ტაქტიკას სრული თავისუფლება მიეცა. მორთეს ბუკი და ნაღარა იარაღის მობილიზაციის წინააღმდეგ და ასე მოუწოდეს ბნელ და უვიც მასას: „ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც უადრესად კონტრ-რევოლიუციონურია იარაღის მობილიზაციას იმიტომ ახდენს, რომ მემამულეებს და ბურჟუაზიას მიეცეს საშუალება თქვენზე, მუშათა კლასზე გაიმარჯვოს. თქვენ იარაღს წაგართმევენ და ამოგწყვეტავენ. ასეთ მოწოდებას ფრონტიდან გამოქცეული დეზერტირობა, რომელსაც იარაღი ბლომად მოეპოვებოდა, ტაშის ცემით და დიდი ენტუზიაზმით შეხვდა. „ბოლშევიკების“ მოღვაწეობამ აქაც გამოიღო ნაყოფი. გაჩნდა „ფრონტი“ ს. ს. ხორშში და აბაზთუმანში (ზუგ. მაზ.) ამ ორი სოფლის დემოკრატია „ბოლშევიკების“ ზავდრომის ქვეშ დადგა, რომელსაც აწერია ანარქია—ხოცვა—ძლეტა—რესტავრაცია.

თუმცა ისინი ყველგან დამარცხდნენ მაგრამ დასავლეთ სამეგრელოში მაინც მოქმედებენ და გამარჯვებას ლამობენ. მოძრაობის ჩასაქრობად რევოლიუციონური ჯარი იგზავნება... მოსალოდნელია ძმათა შორის სისხლის ღვრა და წარსული ტრაგედიები.

ბოლშევიკებმა თავიანთი უტაქტიკო და რეაქციონურ გამოსვლებით დაგვანახეს, რომ ოსმალეთის იმპერიალისტებს უკეთესი და უერთგულესი მოკავშირე არ ყოლია.

ასეთია აწმყო სამეგრელოში და ვნახოთ მომავალი რას გვიჩვენებს.

გ. მუშიშვილი.

თელავის სასწავლებლებში

გათავდა სამოსწავლო წელი და არ შეგვიძლიან არ გადავხედოთ ჩვენი სკოლის ცხოვრებას, როგორც თელავში ისე მის მაზრაში და ანგარიში არ გაუწიოთ, თუ რევოლიუციის დროს როგორ ასრულებდნენ თავიანთ წმინდა მოვალეობას ის პირნი, ვინც დარაჯად უდგნენ სწავლა-განათლების საქმეს.

თავისუფლების მოპოვებაზე ძნელი, მისი შენარჩუნება, შენახვა და ცხოვრებაში სარგებლობაა და ჩვენი სკოლაც რომ განთავისუფლდა ძველი აპეკისაგან და წმინდა ეროვნულ სკოლად გარდაიქცა, სწორედ ეხლა იყო საჭირო მისი ამაღლება, პატრონობა და შრომის გაათკეცება, რომ სკოლასაც დასტყობოდა თავისუფლების მოპოვება და ხალხს ჯეროვანად დაეფასებინა რევოლიუციის ნაყოფი ამ მხრივ...

სამწუხაროდ ამის საწინააღმდეგოს მოწამენი გავხდით, არ ვიტყვი ყველამ, მაგრამ დიდმა უმრავლესობამ კი თავისუფალი სკოლა, თავის-თავის სკოლისაგან განთავისუფლებად გაიგო...

სოფლის მასწავლებლები თავის მოვალეობას რომ შესაფერისად ვერ ასრულებდნენ, ამას ყველა შეამჩნევდა. ჯერ ერთი პირველში მეცადინეობა ძლიერ გვიან დაიწყეს, მერე გაფიცვისთვის მზადება და ულტიმატუმის გზავნა, რომ ბავშვებს მიატოვებდნენ თუ ჯამაგირი მალე არ იქნებოდა გადიდებული. ჯამაგირებიც მოუმატეს, მაგრამ ახლა მისი დროზე მიუღებლობა დაერთო ზედ და ყველას ეს კი პატივსადებ მიზეზებად ჩასთვალეს, რომ მეცადინეობაზე გული აეცრუებინათ და წამდაუწუმ თელავში ევლოთ..

რასაკვირველია ჯამაგირი მცირე იყო და ამით ცხოვრება შეუძლებელი, მაგრამ მასწავლებლები თუ გული შესტკიოდათ თავისუფლებისათვის, დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ ჩვენი დემოკრატიული მთავრობა უეჭველად გააუმჯობესებდა მათ მდგომარეობას და პატარა მოწაფეებთან გამუტება კი სრულებით მეტი იყო. მხოლოდ ჯამაგირის გადიდების შემდეგ დროზე მიუღებლობა განა პატივსადებ მიზეზად უნდა ჩაითვალოს?!? ასე რომ იყოს, არც სხვა და სხვა დაწესებულებებში ივლიდნენ დროზე ჯამაგირს და ნუ თუ ამისთვის ყველას უნდა მეცადინეობა შეეჩერებინა!

რაც შეეხება თელავის სასწავლებლებს, აქაც მეტად არა ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდა სამოსწავლო წელი. აქ მასწავლებლების გულციობას, მოწაფეების გულის აცრუებაც მიემატა და ყველას უნდოდა რაც შეიძლება მეტად გამოეყენებინა თავისუფლება... თუმცა საშუალო სასწავლებლებში, ახალ კანონის ძალით, დაარსდა მშობელთა წრეებიც, რომლის წარმომადგენელნი საპედაგოგიო საბჭოშიაც იღებდნენ მონაწილეობას, რომ ახლოს ეცნობოდნენ თავიანთ შვილების სწავლა-აღზრდის საქმეს, მაგრამ სამწუხაროდ ვერც ამ საბჭოებმა და ვერც მშობელთა წრეებმა გაამართლეს თავიანთი დანიშნულება.

რაც შეეხება საგნების შეთვისებას და უწყვეტულ პროგრამის გავლას, ამაში კი მეტად ხიჭვიანი გამოდგნენ თურმე ჩვენი მოწაფეები. მიუხედავად არანორმალურ მდგომარეობისა, ყველა საგანი, სავსებით და ძლიერ მალეც შეითვისეს ისე, რომ მასწავლებლების აზრით, შესაძლო გახდა სულ ადრე ე. ი. 14 აპრილს სწავლა გაეთავებინათ და საზაფხულოდ დაეთხოვათ. მეცადინეობა მაისის გასვლამდე სწარმოებდა მხოლოდ წმ. ნინოს სასწავლებელში და წ. კ. საზ—ბის და 2 კლ. სამინისტრო სკოლებში. დანარჩენთ კი როგორცა ვსთქვი აღდგომამდე გაათავეს და საბუთიც, რასაკვირველია ტფილისი აიღეს, დაუმატეს რევოლიუციის გარეშე ბათომის ომი და ლტოლვილები, თუმცა ბათომი ძლიერ შორს იყო ისე, რომ ზარბაზნის ხმა ვერც კი მოსწვდებოდა ჩვენამდის და ლტოლვილები ხომ, თვალით არც კი დაგვინახავს...

დაგიწყებული.

ქართველები ჯარში

ოფიცერი შალვა ბესარიონის ძე გოფოძე მსახურებდა რუსეთში 1 კავკასიის არტილერიის პარკოვს დივიზიონში. ექვსი თვე გადის მის შესახებ მისმა მეუღლემ, მშობლებმა და ნათესავებმა არაფერი ვიცით და თუ ვინმემ იცით რაიმე გთხოვთ უმორჩილესად შეგვატყობინოთ კერძო წერილით შემდეგი მისამართით:

სამტრედია, 1 კლასის ბუფეტში, გადაეცეს მიტროფანე გელეიშვილს.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ დაწესებულებათა და პირთ, ვინც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ფულათ, სოფ. ალის (გორის მაზრა) ნორჩ, „შ. რუსთაველის“ სახელობაზე დაარსებულს სამკითხველოს: გორის სარაიონო კოოპერატივების კავშირმა 200 მან.; სოფ. ალის კოოპერატივმა „სხივმა“ 100 მან., კოოპერატ. „სხივის“ თავმჯდომარემ მღვდ. გიორგი კეკლიშვილმა 50 მან. აგრეთვე მადლობას ვუძღვნით იმ პირთ, რომელნიც დაესწრნენ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენას (სამკითხველოს სასარგებლოთ) და თავიანთი წვლილი არ დაიშურეს. არ შეგვიძლია არ გამოუთქვათ მადლობა აქაურ (ალი) კომისარს ს. იმერლიშვილს, რომელიც წესიერად ასრულებს თავის მოვალეობას და აგრეთვე, არაფერს იშურებს დასახმარებლად ყველა კეთილ დაწესებულებათა.

ს. ალ. სამკითხველოს გამგეობა.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

იყიდება სახლი

12 ოთახიანი, საზაფხულოებით. სახლი ორ ქუჩაზე გამოდის, ადგილმდებარეობა საგარაკოა, სახლი ვაჟებისა და ქალების გიმნაზიის ახლოს არის, მისამართი: ავლაბარი, მარტყოფის ქ. № 22 იკითხეთ ეზოში დიასახლისი. 599

ვ. ენუქიძეს, ნ. ხახუტაშვილს და მ. მამულაშვილს.

ჩემს განცხადებაში, რომელიც სახალხო საქმის მე-246 ნომერშია, მე თქვენ გთხოვდით, რომ სამი დღის განმავლობაში დაგესახელებინათ თქვენის მხრით მედიატორები და თანაც ვფიქრობდი, ნუ თუ, ეხლაც კი მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც დასთანხმდებიან მათი უსამართლო ინტერესების დაცვას მეთქი, რადგანაც ვიცოდი, რომ სიმართლის დამცველნი კიდევ თქვენთვის ხელსაყრელი არ იქნებოდნენ, და ასეც გამოვიდა არამც თუ სამ დღეში—ექვსი დღის განმავლობაშიაც ვერ გიპოვიათ ასეთი ადამიანები, როგორიც თქვენ გინდოდათ და ამისთვის არჩიეთ გაჩუმება. მე იმას კი ვერ მოვიფიქრებდი, რომ თქვენ იმდენად მოქალაქობრივ გაბედულობას ვერ გამოიჩენდით, რომ ჩემს ბრალდებაზე პასუხის დაწერას ვერ მოახერხებდით. და ასეთი აბუჩად აგდება პრესისა და საზოგადოებისა, რაც თქვენ თქვენის სიჩუმით მოიქმედეთ—[illegible] მხოლოდ თქვენს უძლურებას და სიმტყუნეს. ან უნდა იმართლოთ, ან უნდა დამნაშავედ აღიაროთ თქვენი თავი. თქვენ ვერც მედიატორები დაასახელეთ და ვერც სიმართლე დაამტკიცეთ გაზეთის საშუალებით. ესეც კმარა მკითხველი საზოგადოებისთვის თქვენი მოქმედების შესაფასებლად. რაც შეეხება ჩემი მეტი პაიების, თქვენ შორის უსამართლოდ განაწილებას, იმედი ნუ გექნებათ.

598 ს. ნანობაშვილი.

ექიმი
დუნხინი
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—$12^{1}/_{2}$ ს. საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 (საიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38. 518

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
დებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^{1}/_{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მახკოვის ქ. № 11. 426

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფებს, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1002

ექიმი
ქ. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოით 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
[illegible]
იღებს [illegible] ავადმყოფებს [illegible] გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საკრებულოს საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვან[illegible]შვილისა. ტელეფ. 5—77. 1080

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის.

ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს.

ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა დღით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანცი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ. ავადმყ.)

ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა,

ბ. ვ. აგაბაბოვი: $9^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^{1}/_{2}$ ს.

მ. ვ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

საღამოთით:

ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

„სახალხო საქმის“
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ	
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I	4 „	
გრდემლი წ. I	3 „	
ქართველი მწერლები.	2 „	
უცხოეთის „	2 „	
შიუკაშვილი—„მეგობრობა“.	—	60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე“.	1 „	20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“	—	40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“	—	50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყოვნებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

☛ სტამბა ☚
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14